



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის №156/18 გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

*დონარი ლონდარიძე (სტუდენტი)*

### ფაქტები

ერთ-ერთ საჯარო სამსახურში შიდა მონიტორინგის კოორდინატორის თანამდებობაზე მუშაობდა ადვოკატი. აღნიშნული ცენტრის მმართველი იყო საჩივრის ავტორი, რომლის ბრძანებითაც თანამდებობიდან გათავისუფლდა მოცემული ადვოკატი. აღნიშნული ფაქტის შემდეგ მათ შორის დაიწყო სასამართლო დავა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ტელეფონის მეშვეობით უკავშირდებოდა მას და სამსახურის თანამშრომლებს, ემუქრებოდა და აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. გარდა ამისა, ხვდებოდა მის მეუღლეს და ეუბნებოდა, რომ მის ცოლს დაიჭერდა. ადვოკატი დისციპლინურ წარმოებაში არ ჩაერთო და შესაბამისად, მისი პოზიცია ცნობილი არ ყოფილა კომისიისთვის გადაწყვეტილების მიღების დროს.

### პროცესუალური ისტორია

ეთიკის კომისიამ ადვოკატზე გაავრცელა ეთიკური სტანდარტი, მიუხედავად იმისა რომ ის სადავო ქცევისას არ ეწეოდა პროფესიულ საქმიანობას და მის მიმართ დაიწყო დისციპლინური დევნა, კოლეგის, როგორც პროცესის მონაწილის, სავარაუდო შეურაცხყოფის ფაქტზე, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(გ) მუხლით და ადვოკატთა ეთიკის კოდექსის 9.1, 9.4 მუხლებით.

### სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ მართალია ადვოკატი საჩივრის ავტორისთვის შეტყობინებების გაგზავნის დროს არ ასრულებდა საადვოკატო საქმიანობას, მაგრამ არ იყო გათავისუფლებული პროფესიული ვალდებულებებისაგან, ვინაიდან მას პროფესიული ქცევის წესების დაცვა მართებდა პროცესის მონაწილე პირთან - საჩივრის ავტორთან ურთიერთობისას. შესაბამისად, განხილვის კოლეგიამ გაიზიარა საპროცესო კოლეგიის პოზიცია და მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა რომ ადვოკატი სასამართლოში მიმდინარე დავაში გამოდიოდა მხარედ, მას როგორც ადვოკატს მართებდა პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესებით მოქმედება. ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიერ გაგზავნილი შეტყობინებები შეაფასა მისი გაგზავნის ფორმისა და შინაარსის კუთხით. პირის მოხსენიება სიტყვებით: „შენ უტვინოვ“, „განათლება და კულტურა არ გაგაჩნია“ ზიანის მომტანია არამართო ამ სიტყვების ადრესატისთვის, არამედ, შეუძლია ხელი შეუშალოს ადვოკატის პროფესიის როლის გაძლიერებას, საზოგადოებაში ნდობისა და პატივისცემის დამკვიდრებას. ეთიკის კომისიის განმარტებით, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია იმ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, რომელიც ემსახურება ადვოკატის როლის განმტკიცებას, ადვოკატის პროფესიის დაცვასა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის გაღრმავებას. ეთიკის კომისიის განმარტებით, ასევე არაერთიკურია ადვოკატის მიერ პირადი შეტყობინების სახით გაგზავნილი შემდეგი წინადადებები - „შენ არ გაიხარე და არ მოესწარი დედობას“; „ბოროტო და უბოროტესო, დაგწყევლოს უფალმა და გაგანადგუროს, ჩაბარდები მალე მოუსავლეთში წასულ არქივს. დამთავრდა შენი დრო, მეორედ აგლიძრავენ და მესამედ პროკურატურაში საქმეებს. ჩამოვიდე სტრასბურგიდან! გამოგიჩიქნი ყველაფერს და სანამ სამართლებრივად არ გავიმარჯვებ შენზე მანამ არ მოგეშვები. ბოროტო სულო“. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატის მიერ გაგზავნილი აღნიშნული ფრაზები არ ექცეოდა პროცესის მონაწილესთან კომუნიკაციის სტანდარტის ფარგლებში, ისინი გამოირჩევა განსაკუთრებული აგრესიით და მიუღებელია საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის.

## **დასკვნა**

ადვოკატის მიერ სადავო წინადადებების პროცესუალური მოწინააღმდეგისადმი გაგზავნით დაირღვა პროცესის მონაწილის მიმართ პატივისცემის ეთიკური ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ), ეთიკის კოდექსი, მუხლები 9.1, 9.4), რაც მისი დისციპლინირების საფუძვლად შეფასდა. ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა გაფრთხილება.